¤

ვარ ასე მაღლა,
რითმაა არ ვეძებ.
და რისთვის ახლა
არ ვარ მთვარეზე.

ფიქრის ცვლილება
და ქარის ნთება.
სისხლი ილევა
და გული კვდება.

შორს ელავს მთვარე,
მე ვარ დევნილი.
თბილისო, გარეთ
მარ დარჩენილი.

უხმო საათმა ფიქრი მოთოვა,
მე ასე მღალავს ეს ზემოდგომა.

ვერ ვხედავ მე შენს თვალებს, ვერც ხელებს,
მებრძვიას, მაგრამ ვერ მამარცხებენ.

სხვამ რა იცოდა, შენ კი იწოდი,
ისევ სდუმს ზეცა მარადისობის.

გაისმის რეკვა, იწყება ლოცვა,
ახლა სიკვდილთან უფრო ახლოს ვარ.

უხმო საათმა ფიქრი მოთოვა,
მე ასე მღალავს ეს შემოდგომა.

ისევ გათენდა, წავიდა მთვარე,

ფიქრი წაიღეს მზიან დარებმა.
ირგვლივ ქვებია და ჩუმი მხარე,
ირგვლივ ქვებია და მდუმარება.

გათენდა ისევ, წავიდა მთვარე,
ცისკენ წაიღეს გული ქარებმა.
ირგვლივ ქვებია და ჩუმი მხარე,
ირგვლივ ქვებია და მდუმარება.